თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სისხლის სამართლის ფაკულტეტი

გიორგი თაბუკაშვილი

წარმოდგენილია მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

იურიდიული პირის სიახლის სამართლის პასუხისმგებლობის პრობლემატიკა

ხელმძღვანელი: პროფ. არჩილ შეყლაშვილი

სთბილისი, 0156, საქართველო

2020

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა და სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ჩვენ, ქვემეორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით (გვარი, სახელი) მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: (დასახელება) და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (სკოლის დასახელება) საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმოწერა

ხელმოწერა

სარჩევი:

ხელმოწერის გვერდი.....

რეზიუმე.....4

Resume 8

შესავალი 11

თავი 1. იურიდიული პირის სამართლებრივი ცნება 16

1.1. კერძო სამართლის იურიდიული პირები.....23

1.2. საჯარო სამართლის იურიდიული პირები 24

თავი 2. იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ზოგადი სამართლებრივი პრობლემატიკა.....27

2.1. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკის განსაზღვრა ქონებრივ ჭრილში.....31

თავი 3. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკის ზოგადი მიმოხილვა ქართულ რეალობაში 35

3.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებები და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ასპექტში 38

თავი 4. საერთაშორისო გამოცდილება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით 40

4.1. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა 47

4.2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის პრობლემატიკა ევროკავშირის სახელმწიფოებში 50

4.3. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის პრობლემატიკა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე 53

დასკვნა 58

გამოყენებული ლიტერატურა 60

რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომში სამეცნიერო დონეზე გაანალიზებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობების განსაზღვრება, იურიდული პირის ცნების ჭრილში. თემა დეტალურად მიმოიხილავს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკას როგორც მაღალ განვითარებული სახელმწიფოების, ასევე საქართველოს რეალობაში. ნაშრომში განხილულია რა მსგავსებები და განსხვავებებია ქართული სამართლის მოდელსა და სხვა ქვეყნების სამართლის მოდელებს შორის იურიდიული პირის შესახებ სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრულ ჩარჩოებზე.

გამომდინარე იქედან, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკა შეუძლებელია იყოს განყენებული განხილვის საგანი, თემა აანალიზებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლს, რომელიც იძლევა იურიდული პირის განმარტებას. ეს დეფინიცია, ზოგიერთ შემთხვევაში, არასაკმარისად მიიჩნევა საკანონმდებლო დონეზე იურიდიული პირების თვასაჩინოდ აღსაწერად. იურიდიული პირის სამეცნიერო განმარტებების წარმოდგენისას, რომელიც დეტალურადაა განმარტებული წარმოდგენილი ნაშრომის პირველ თავში, აღნიშნულია, რომ იურიდიული პირები იყოფიან კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. ფუნდამენტური გარემოება, რომელიც კერძო სამართლის

იურიდიული პირების შექმნისას არსებობს, არის ის, რომ ისინი იქმნებიან თანასწორი უფლებების მქონე გარემოში, რომელშიც მოქმედებს პირნციპი თავისუფალი ნების გამოსახატავად. კერძო სამართლის იურიდიული პირები ორ განსხვავებულ ჯგუფად იყოფიან და მათ ამ ჯგუფებში სორტირებას განსაზღვრავს მათი საქმიანობა.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება იმ გარემოებასაც, რომ იურიდიული პირის როგორც სამართლებრივი სუბიექტი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში რამდენიმე წლის წინ შეიტანეს და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა დღემდე არსებობს. საერთაშორისო სამართლის ტენდენციებიდან გამომდინარე, ქართულ სამართლის მეცნიერებაში ხშირია მოსაზრება, რომელიც ამკვიდრებს პრინციპს იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ სამოქალაქო სამართლის პრეროგატივაა იურიდიული პირის პასუხიმგებლობის განხილვა. ასეთი მოსაზრებების არსებობის გამო ხშირად საკმაოდ რთულია იმ პრობლემასთან გამკლავება, რომელიც დგება იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიული პირის პასუხიმგებლობას სამოქალაქო სამართლის ნორმების მაგივრად სისხლის სამართალის ნორმები განსაზღვრავს. გამომდინარე იქედან, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა სამოქალაქო სამართლის მსჯელობის ჩარჩოებს შეიძლება გასცდეს, ამ შემთხვევაში დგება მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იურიდიული პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკასთან არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს.

პრობლემატიკის არსებობა და მისი ვარირება განპირობებელია იმ ფაქტორიდან, რომ საკანონმდებლო დონეზე მათი ძირითადი ფუნდამენტი აღებულია სხვადსხვა სამართლის თეორიებიდან.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკის წარმოქმნის მიზეზები და მათ უკან მდგომი თეორიები. განხილულია სამართალმცოდნეობის დარგის მეცნიერთა დიდი ჯგუფის მოსაზრება, რომ პირველი და ძირითადი მახასიათებელი, რომელიც იურიდიულ პირს გამოარჩევს. ეს არის ის განცალკევებული ქონება, რომელიც არის იურიდიული პირის საკუთრება და არანაირი კავშირი არ აქვს მასში შემავალი პირების კერძო ქონებასთან. კერძოდ, მსგავსი ქონების არსებობა მესამე პირთან დავის განხილვისას პრობლემას ქმნის საკანომდებლო მსჯელობის თვალსაზრისით. საქართველოს სამართლებრივ რეალობაში არსებული მდგომარეობა ართულებს ჩვენს მოტივაციას რომ ვიყოთ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ჯგუფის წევრი. სამწუხაროდ ამ მხრივ, არც იურიდიული პირის მიმართ არსებული კანონმდებლობა არის გამონაკლისი. ევროგაერთიანების, ავსტრალიის, ინგლისისა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინეტზე არსებული საკანომდებლო მდგომარეობა და მისი დამოკიდებულება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მიმდინარე სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი საგანია. ამავდროულად, საერთაშორისო გამოცდილების ქართულ რეალობასთან შედარება და მისი პოტენციური ადაპტირება განხილულია დეტალურად მოხსნების ბოლო თავებში. ანალიზისას მოყვანილია

რამდენიმე კვლევა რომელიც შექმნილია იურისპრუდენციისა და საკანონმდებლო მიმართულების შემსწავლელ აკადემიურ წრეებში ფართოდ აღიარებული კვლევითი ინტიტუტების მიერ.

Resume

The master's thesis analyzes the definition of the legislation of different countries of the world at the scientific level, in the context of the concept of a criminal liability of legal entity. The topic examines in detail the problems of legal entity's criminal liability in the reality of both highly developed countries and Georgia. The paper discusses the similarities and differences between the Georgian legal model and the legal models of other countries within the legal framework for legal entities.

Due to the fact that the criminal problems of a legal entity cannot be separated from the subject of discussion, the topic analyzes Article 24 of the Civil Code of Georgia, which in turn provides an explanation of the legal entity. This definition is in some cases insufficient to describe self-portraits of legal entities at the legislative level. In presenting the scientific explanations of the legal entity, which are explained in detail in the first paragraph of the current removal, mention is made of the circumstance that legal entities are divided into private and public legal entities. The fundamental circumstance of creation that exists when creating legal entities under private law is that they are created in an environment with equal rights in which the principle of free will applies. The legal entities of private law are divided into two different groups and their sorting in these groups is determined by their activities. The master's thesis also refers to the circumstance that a legal entity as a legal entity

was included in the Criminal Code of Georgia a few years ago and the problems related to it still exist. Due to the tendencies of international law, there is often an opinion in Georgian legal systems that establishes the principle that only the prerogative of civil law is to consider the responsibility of a legal entity.

Due to the existence of such opinions, it is often quite difficult to deal with the problem that arises when the legal entity's responsibility is determined by the criminal law norms instead of the civil law norms. Since the liability of a legal entity may go beyond the scope of civil law reasoning, in this case the question of its criminal liability arises. There are mixed opinions about the criminal liability of a legal entity in different countries of the world and the problems related to it. The current situation in Georgia's legal reality makes it difficult for us to be a member of the world's leading countries. Unfortunately, the existing legislation on legal entities is no exception.

The existence of problematics and its variation is due to the fact that at the legislative level their main foundation is taken from the theories of various laws. The report discusses in detail the reasons for the emergence of legal problems of a legal entity and the theories behind them. The opinion of a large group of scholars in the field of jurisprudence that the first and foremost characteristic that distinguishes a legal entity is that it is a separate property that is the property of a legal entity and has nothing to do with the private property of its members. In particular, the existence of such property in a dispute with a third party creates a problem in terms of legislative reasoning.

The legal status of the European Union, Australia, England and North America and its relationship to the criminal liability of a legal entity is one of the main subjects of the ongoing study of the master's thesis. At the same time, the comparison of international experience with the Georgian reality and its potential adaptation is discussed in the last chapters of the detailed removal. The analysis includes several studies conducted by research institutes widely recognized in academic circles studying law and legislation.

შესავალი

თემის აქტუალობა: საქართველოს პოსტსაბჭოთა აწმყოსა და ქვემოთ მოცემული თანამედროვე კვლევების განხილვა საშუალებას მისცემს ქართულ სახელმწიფო კანონმდებლობას და მათ შორის განსაკუთრებით სისხლის სამართლის კოდექსს დაიხვეწოს, განვითარდეს მოქალაქეების მოთხოვნილებების უკეთ შესასრულებლად და ამავდროულად, ქვეყანას კიდევ უფრო გაუადვილოს ევრო-ატლანტიკურ გაერთიანებებში გაწევრიანება.

ისტორიის მანძილზე, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, სახელმწიფო ინტიტუტების განვითარებასთან ერთად, გაჩნდა საჭიროება მკაფიო და გამჭირვალე გამხდარიყო საკანონმდებლო სტრუქტურა, რომელიც განმარტავდა იურიდული პირის ცნებას და ამავდროულად, განსაზღვრავდა, რა პასუხიმგებლობა დაეკისრებოდა იურიდულ პირს კანონდარღვევების შემთხვევაში.

ცნობილია რომ, იურიდული პირის (კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცეული სუბიექტი) შექმნის კონცეფცია გაჩნდა ანტიკური რომის საკანონმდებლო სიტემაში, რომელიც თავის თავში აერთიანებდა რელიგიურ, სამოქალაქო და სხვა პასუხისმგებლობის მქონე ადამიანთა ასოციაციებს, რომელთა უფლებები ანტიკური რომის კანონმდებლობაში დეტალურად იყო გაწერილი.

იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი წარმოადგენს პარტიკულარული ინტერესის სფეროს, რომელიც ეფუძნება საკანონმდებლო დონეზე იურიდიულ პირთან დაკავშირებულ დანაშაულებზე რეაგირების შესწავლას. ქართული სახელმწიფოს რეალობიდან გამომდინარე შეუძლებელია უგულებელყო ის გარემოება, რომ იზრდება კომერციული და ეკონომიკური ერთეულების რიცხვი და მათ შესახებ საკანონდებლო ცვლილებები და კანონმდებლობის დახვეწაც აუცილებელი ხდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და მეორე რესპუბლიკის დაარსებიდან თითქმის სამი ათწლეული გავიდა და ქართულ რეალობაში არსებული საკანონმდებლო და სასამართლო პრეცენდენტები რაოდენობრივად და ამავდროულად, რეზონანსულობით, ჩამორჩება შედარებით მრავალწლიან სამართლებრივ სისტემებს. კვლევები გვხვდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, შვედეთში, გაერთიანებულ სამეფოში და სხვა განვითარებულ სახელმწიფოებში. ჩამოთვლილი ქვეყნების მიერ შექმნილი სამართლებრივი სისტემები და მათი სტრუქტურა ქართული კანონმდებლობისათვის ყოველთვის წარმოადგენდა მაგალითს, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარებულიყო მისი ხედვები, რომ ქართულ რეალობაში არსებული სამართალი ყოფილიყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების რიგის ღირსეული წევრი. ამ მხრივ, არც იურიდიული პირის მიმართ არსებული კანონმდებლობა არის გამონაკლისი.

საქართველოს საბჭოთა წარსულისა და პოსტსაბჭოთა აწმყოს გათვალისწინებით, გასაკვირი არაა ის ფაქტი, რომ ხშირია მოსაზრება, თითქოს იურიდიული პირის სამართლებრივ ნორმებს და უფლებებს მხოლოდ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს. ამავდროულად მისი პასუხისმგებლის სისხლისსამართლებრივი პრობლემატიკა ჰგავს პრეცენდენტებს, რომლებიც უკვე არსებობდა ზემოთ ჩამოთვლი ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში, როდესაც მათი სტრუქტურის განვითარების დონე ჩვენი რეალობის მსგავსი იყო.

ნაშრომის მიზანი: ნაშრომის მიზანია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვება. ნაშრომის შესრულების ეგიდით ჩატარებული სამეცნიერო-ანალიტიკური კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგეს საზოგადოებას ნათლად გააცნოს ინფორმაცია მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოების საკანონმდებლო თავისებურებებსა და საქართველოში არსებულ რეალობის შედარების შესახებ. საკანონმდებლო დონეზე განსახორციელებელი ცვლილებების სრულყოფისათვის აუცილებელია იურიდიული პირების პასუხისმგებლობის კონკრეტული და პრაქტიკული ასპექტების გაანალიზება. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ჩვენს რეალობაზე ადაპტირების შედეგად, ადვილად შევძლებთ დაიხვეწოს ის სისხლისსამართლებრივი (და არამარტო სისხლისსამართლებრივი) ნორმები, რომელიც განსაზღვრავს იურიდიული პირის პასუხიმგებლობას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ

მოცემულ დარგში ქართული რეალობიდან გამომდინარე, კვლევების რაოდენობა ძალიან მცირეა.

კვლევის მეთოდი: ნაშრომში სამეცნიერო დონეზე გაანალიზებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის განსაზღვრება, იურიდული პირის ცნების ჭრილში. თემა დეტალურად მიმოიხილავს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკას როგორც მაღალ განვითარებული სახელმწიფოების, ასევე საქართველოს რეალობაში.

ნაშრომის შესრულების ეგიდით ჩატარებული სამეცნიერო-ანალიტიკური კვლევის მიზანია, შედარება გაუკეთოს მსოფლიოში არსებულ ემპირიულ ცოდნას, რომელიც დაგროვდა წლების მანძილზე და ქართულ მიმდინარე რეალობას. გამომდინარე აქედან, აუცილებელია დეტალური ანალიზი გაკეთდეს იურიდიული პირის მიმართ როგორც ქართული, ასევე დასავლეთის ქვეყნების მართლმსაჯულების დამოკიდებულების. გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, რომელიც განასხვავებს ქართულ სამართლის ჩარჩოებს უცხოური კანონმდებლობების დამოკიდებულებისაგან ე.წ. „პერსონალური იურისდიქციის“ (Personal Jurisdiction) მიმართ. პერსონალური იურისდიქცია[1] თავის მხრივ მოისაზრებს კანონშემოქმედებას, რომელიც

[1] თითოეული სახელმწიფოს სუვერენული უფლება განახორციელოს თავისი განსაკუთრებული სახელისუფლებო უფლებამოსილება სამართალშემოქმედებით და სამართალგამოყენების სფეროებში, სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეებში.

განსაზღვრავს იურიდიული პირების როგორც უფლება-მოვალეობებს, ასევე მათ კანონის წინაშე პასუხიმგებლობას.

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში მოყვანილი კვლევები და პრეცენდენტები ეყრდნობა მსოფლიოში არსებული სახვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას და ასახავს პრობლემის გადაჭრის გზებს. ბუნებრივია, ხშირია პრობლემატიკა, რომელსაც ქართული მართლმსაჯულება იჩენს იურიდული პირების მიმართ მოქმედებისას, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში საქათველოს კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა მუხლები ბუნდოვანია. მსგავსი პრობლემატიკა დეტალურადაა გაანალიზებული მომდევნო თავებში.

ნაშრომის სტრუქტურა: შედგება შესავლის, 4 თავის, 7 ქვეთავისა და დასკვნისაგან.

თავი 1. იურიდიული პირის სამართლებრივი ცნება

იურიდიული პირი არის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული მოქმედი სუბიექტი, რომელიც შესაძლებელია იყოს ნებისმიერი სახის ორგანიზაცია (ადამიანთა და ქონებათა გაერთიანება). იურიდული პირი განსხვავდება ერთეული ადამიანისგან ანუ ფიზიკური პირისაგან[2], კანონით განსაზღვრული მოვალეობებითა და უფლებებით. იურიდიული პირი აღქმულია, როგორ კანონმდებლობით გაწერილი სამართლებრივი პირი, რომელსაც გააჩნია გარკვეული იდენტობა. ზემოთ მოცემული განმარტება მოიცავს ადამიანთა ორგანიზაციულ გაერთიანებებს როგორიცაა: კერძო კომპანიები და კორპორაციები, სამთავრობო სააგენტოები, არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO) და ა.შ. სამეცნიერო წრეებში იურიდიული პირი ზოგჯერ მოხსენიებულია როგორც „ხელოვნური პირი“[3], რაც გულისხმობს იმ გარემოებას, რომ იურიდიული პირი რომელიმე ერთ კონკრეტულ პიროვნებას არ წარმოადგეს, არამედ ის აერთიანებს სხვადასხვა ადამიანებს.

იურიდიული პირის უფლებები და მოვალეობები ზოგიერთ შემთხვევაში მკვეთრად გამიჯნული და განსხვავებულია ფიზიკური პირის უფლებებისაგან. განსხვავების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ფიზიკური პირისაგან განსხვავებით, იურიდიული პირის

[2] სამოქალაქო სამართალში ცალკეული პირი, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, განსხვავებით იურიდიული პირისაგან, რომელიც კოლექტიურ წარმონაქმნს წარმოადგენს.
[3] ალანია შალვა, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ფარგლები 2015, 95-97

უფლებებისა და მოვალეობების ქვეშ შექმნილი ადამიანების ერთობა კონკრეტული მიზნის მიღწევისკენაა მიმართული. ამავდროულად, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იურიდიული პირის ქვეშ ერთიანდება არა მხოლოდ გარკვეული ადამიანების ასოციაცია, არამედ ქონებაც, რომლის განკარგვისა და მასზე მოქმედების უფლება საკანონმდებლო დონეზე აქვს მინიჭებული იურიდიულ პირს. იურიდიულ პირს უფლება აქვს არა მხოლოდ განკარგოს და ზემოქმედება მოახდინოს მის საკუთრებაში არსებულ ქონებრივ ერთეულებზე, არამედ, ამავდროულად, მას შეუძლია, როგორც შეიძინოს ახალი უძრავ-მოძრავი ქონება, ასევე გაყიდოს ან გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული ქონება[4].

იურიდიული პირისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, მას უფლება აქვს, რომ აწარმოოს მოლაპარაკებები, შეადგინოს გარიგებები და ამავდროულად, სასამართლო სისტემის მეშვეობით გახდეს როგორც მომჩივანი, ასევე მოპასუხე.

კანონმდებლობის დახვეწას, რომელიც იურიდიული პირებისათვის განსაზღვრავდა უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, საფუძველი ჯერ კიდევ ანტიკური რომის პერიოდში ჩაეყარა, თუმცა მან განვითარების შუა ეტაპს მიაღწია მეთოთხმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების ევროპის სახელმწიფოებში. „universitas“ არის სიტყვა, რომელიც ასახავდა კონკრეტული მიზნის მისაღწევად გაერთიანებულ პირთა ორგანიზაციას.

[4] ალანია შალვა, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ფარგლები 2015, გვ. 96-98

როგორც დღეს, საუკუნეების წინაც, მსგავსი ორგანიზაცია განიხილებოდა, როგორც ცალკეული პირი, თუმცა არა როგორც ერთეული ფიზიკური პირი. სწორედ ამიტომ, შეიქმნა ლათინური სახელი „persona ficta“, რომელიც აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ კანონმდებლებით ადამიანთა გაერთიანება განიხილება როგორც მოქმედი ერთი პირი, ფიქციური პირი, თუმცა მისი უფლებები, მოვალეობები და, საჭიროების შემთხვევაში, დაყენებული სამართლებრივი პასუხისმგებლობა, განსხვავდება ერთეული ფიზიკური პირისაგან.

ეს არის დღესდღეობით საყოველთაოდ გავრცელებული ე. წ. „ფიქციის თეორია“, რომლის მიხედვითაც, იურიდიული პირი არის ხელოვნური წარმონაქმნი, რომელიც რეალურად არ არსებობს. ფიზიკური პირის ნიშან-თვისებები მასზე ხელოვნურადაა გადატანილი და ამით იურიდიული პირი იქცევა სამართლის სუბიექტად. აღნიშნულ თეორიას საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნის შუა წლებში ცნობილი გერმანელი იურისტის კარლ სავიგნის მიერ.[5]

იურიდიული პირის კიდევ ერთი განმასხვავებელი თვისებაა ის ფაქტი, რომ მას უფლება ენიჭება ჰქონდეს შინაგანაწესი და მისი მეშვეობით მოახდინოს მასში შემავალი ფიზიკური პირების კონტროლი და რეგულირება. საერთაშორისო განმარტების მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს იურიდიული პირის როგორც დეფინიციას, ასევე უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას.

[5] ტურავა მერაბ, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 627-629

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლში ასახულია კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების განმარტება.

კერძო სამართლის იურიდიული პირის განმარტების თანახმად, იგი შექმნილია გარკვეული წინასწარდასახული მიზნების მისაღწევად, მას აქვს უფლება განკარგოს მის მფლობელობაში არსებული ქონებრივი ერთეულები. განკარგვაში იგულისხმება ახლის შეძენა, გასხვისება და ამავდროულად, იგი კანონის წინაშე პასუხისმგებელია მის საკუთრებაში არსებული ქონებით. ასევე მოხსენიებულია, რომ სასამართლო სისტემაში იურიდიულ პირს ენიჭება უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, გამოვიდეს როგორც საქმის მოპასუხე მხარე, ასევე მას შეუძლია დაიკავოს მოსარჩელის პოზიცია. აღსანიშნავია იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ განმარტება, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აკეთებს: იურიდიულ პირს ენიჭება უფლება აწარმოოს ნებისმიერი სახის საქმიანობა რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ იკრძალება.

კერძო სამართლის იურიდიული პირთან ერთად გამოყოფენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნებას. ამ უკანასკნელს, კერძო სამართლის იურიდიული პირის მსგავსად, ენიჭება უფლებამოსილება, რომ საჯარო სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და სხვა დარგებში, იმოქმედოს სრული ინტეგრირებით[6].

[6] ნაჭყებია, გურამ. გორაშვილი, გიორგი. მამულაშვილი, გოჩა. თოდუა, ნონა. გოგშელიძე, რევაზ. სულაქველიძე, დავით და დვალიძე, ირაკლი. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012, გვ. 975-981

იურიდიული პირები, საქართველოს სამოქალაქო სამართლის თანახმად, იყოფა ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ჯგუფად. ეს ჯგუფებია: სამეწარმეო იურიდიული პირები და არასამეწარმეო იურიდიული პირები. სამართლებრივი ფორმები იმ იურიდიული პირებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან სამეწარმეო ჯგუფს, მოცემულია საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“. მასში განსაზღვრულია ის სამართლებრივი ფორმები[7], რომელიც არეგულირებს და აკონტროლებს სამეწარმეო იურიდიული პირების საქმიანობას. გამომდინარე იქიდან, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირები არ აწარმოებენ კომერციულ საქმიანობას, მათი სამართლებრივი ფორმები განსაზღვრულია არა სქართველოს კანონით მეწარმეთა შესახებ არამედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

საერთაშორისო სამართლის მეცნიერები კომერციულ სფეროში გამოყოფენ რამდენიმე მიმართულებას, რომელიც აერთიანებს სამართლებრივ ნორმებს სამეწარმეო ერთეულების ოპერირების ჩარჩოებთან დაკავშირებით. ზემოთხსენებული მიმართულებები აერთიანებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე ბიზნესერთეულებსა და სამართლებრივ სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც ზემოთხსენებული პირებისა და ბიზნესსექტორის ინფორმაციის გაცვლასა და ეფექტიან კოორდინაციაზე აგებენ პასუხს.

---

[7] ნაჭყებია, გურამ. გორაშვილი, გიორგი. მამულაშვილი, გოჩა. თოდუა, ნონა. გოგშელიძე, რევაზ. სულაქველიძე, დავით და დვალიძე, ირაკლი. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012, გვ. 975-981

მოცემული სამაგისტრო ნაშრომების მიზნებიდან გამომდინარე, დეტალურად მხოლოდ განიხილება იურიდული პირები. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკის შესახებ განყენებული მსჯელობა შეუძლებელია ბიზნესერთეულებისა და სამართლებრივი სახელმწიფო უწყებების გარეშე. საერთაშორისო სამართალში[8] იურიდული პირების (როგორც საჯარო, ასევე კერძო) სამართლებრივი ნორმები და პასუხისმგებლობის დადგომის შემთხვევაში მოქმედება, ხშირად გამხდარა დისკუსიისა და ცხარე კამათის საგანი, არა მხოლოდ რეგიონალურ დონეებზე, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

კომერციულ (სამეწარმეო)[9] სივრცეში მოღვაწე სუბიექტები, სამართლებრივად კლასიფიცირებულია ორ განსხვავებულ ჯგუფად, ფიზიკურ და იურიდულ პირებად. მოცემული ორი ჯგუფიდან პირველი აღნიშნავს ინდივიდუალურ პიროვნებას რომელიც თანდაყოლილად სარგებლობს კანონმდებლობ განსაზღვრული უფლებებით და ეკისრება გარკვეული ობლიგაციები. გამომდინარე იქიდან რომ ფიზიკური პირები მიმდინარე თემის კვლევის საგანს არ წარმოადგეს მისი ხსნება მოხდება პერიოდულად, ხოლო დეტალური ანალიზი არ იქნება მოცემული არგან ეს უკანასკნელი სცდება მოხსენების მიმართულებას. ხსენებული ორი

[8] ნაჭყებია, გურამ. გორაშვილი, გიორგი. მამულაშვილი, გოჩა. თოდუა, ნონა. გოგშელიძე, რევაზ. სულაქველიძე, დავით და დვალიძე, ირაკლი. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012, გვ. 993-999

[9] კომერცია, იგივე ვაჭრობა, არის ადამიანის საქმიანობის სფერო, რომელიც ხორციელდება რაიმე ღირებულების ყიდვა-გაყიდვით. ეს ღირებულება შეიძლება წარმოადგენდეს საქონელს, მომსახურებას, ინფორმაციას, ფულს ან სხვა რამეს.

ჯგუფიდან მეორე, როგორც უკვე აღნიშნულია, აერთიანებს კოლექტიურ ერთეულებს რომლებიც შექმნილია ადამიანების გარკვეული ჯგუფის და მათი მიზნების ასოციაციის ხარჯზე. ეტიმოლოგიურად პირის მნიშვენლობა არა ცალსახაა და მეცნიერთა ჯგუფები მას სხვადასხვა განმარტებით აღწერენ. ყველაზე ფართოდ აღიარებული დეფინიცია განმარტება რომელიც განმარტავს იურიდიული პირის ცნებას ზოგადად არის შემდეგი: ადამიანთა ერთობა (ორგანიზაციული ერთეული/სახეობა) რომელებიც ერთმანეთთან ასოცირებულნი არიან განსაზღვრული მიზნებისა და სურვილების მისაღწევად. იურიდიულ პირს აქვს კანონით მინიჭებული უფლება ქონების განკარგვის და იგი დამოუკიდებლად საკუთარი ქონებით აგებს პასუხს მის გარშემო არსებულ სხვა ორგანიზაციულ სუბიექტებთან ურთიერთსაქმიანობისას. ქონების განკარგვაში ნაგულისხმებია იქ ფაქტი, რომ იურიდიულ პირს უფლება აქვს შეიძინოს ან გაასხვისოს ქონება და ამავდროულად მას შეუძლია სასამართლო სისტემაში წამოდგეს როგორც მოპასუხედ ასევე მოსარჩელედ[10].

1.1. კერძო სამართლის იურიდიული პირები

[10] ტურავა მერაბ, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 624

დასავლეთევროპული და აღმოსავლეთ ევროპის დიდი ნაწილის კანონმდებლობა, სამართლის დაყოფას ახდენს ორ განცალკევებულ ჯგუფად, რომელსაც განსხავებულ სამართლებრივ ნორმებსა და სადამსჯელო მექანიზმებს უსადაგებს. ზემოთ ხსენებული ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სამართლებრივ ჯგუფებია კერძო და საჯარო სამართლის სისტემები[11]. გამომდინარე აქედან, გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ კერძო და საჯარო სამართლის სისტემები, თავის მხრივ, იურიდიული პირების დაყოფას მათ მსგავსად კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ახდენენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული მსგავსი კერძო და საჯარო სამართლის სისტემებად დაყოფის მიუხედავად, იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულ დაყოფილ ჯგუფებს მხოლოდ თეორიული რაკურსით განიხილავენ.

მხოლოდ თეორიული რაკურსით განხილვა და მათთვის არაპრაქტიკულობის დაბრალება, რიგ შემთხვევებში, ართულებს ეფექტურ საქმიანობას საკანონმდებლო თვალსაზრისით. ძირითადი სახეები, რომელსაც წარმოადგენს კერძო სამართლის სისტემა თანასწორი უფლებების მქონე ორგანიზაციული ერთეულებია, რომელთა ავტონომიის არსებობა სწორედ თანასწორი უფლებების დაარსებითა გამოწვეული. კერძო სამართლისაგან განსხვავებით, საჯარო სამართლის სისტემა

[11] Miljkovic, S. D., & Bozic, V. CRIMINAL RESPONSIBILITY OF LEGAL PERSONS IN THE LEGISLATION REPUBLIC OF SERBIA AND THE REPUBLIC OF CROATIA. 2016, გვ, 5-8

აკონტროლებს და არეგულირებს საჯარო ორგანოებს, რომლებიც, თავის მხრივ, სახელმწიფო წყობილების შემადგენელი ნაწილები არიან. ფუნდამენტური პრინციპებით მსჯელობის შემთხვევაში აღმოჩნდება რომ კერძო სამართლის მხარეს სრულიად წამოადგენს სამოქალაქო სამართალი. გამომდინარე აქედან სამოქალაქო სამართალი არეგულირებს და აკონტროლებს მხოლოდ და მხოლოდ კერძო პირებს შორის მიმდინარე ურთიერთობებს. ლოგიკურია ის გარემოება, რომ სამოქალაქო სამართალი აკონტროლებს და არეგულირებს მხოლოდ და მხოლოდ იმ იურიდიულ პირებს, რომელებიც შეიქმნა კერძო პირების მიერ.

1.2. საჯარო სამართლის იურიდიული პირები

განსხვავებით კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, საჯარო სამართალში მრავლად არსებობს საჯარო სტრუქტურები რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო მართველობის სუბიექტებს. ასეთი სუბიექტები შეიძლება იყვნენ საფინანსო, სამოქალაქო და ა.შ. ერთეულები რომლებიც სახელმწიფოს გამართულ მუშაობაზე აღებენ პასუხს. მსგავსი დაწესებულებების შექმნა და ოპერირება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს უფლებაა და გამომდინარე აქედან, მსგავსი სტრუქტურების ფორმირებაში კერძო სამართლის წამომადგენლები მონაწილეობას ვერ იღებენ. ლოგიკურია, რომ საჯარო სამართალში არსებობს იურიდიული პირის ცნება და ის ცნობილია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული

პირი. ზემოთხსენებული ვითარების მსგავსად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნასა და ოპერირებაზე პასუხისმგებელი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოა[12].

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ზოგად ოპერირებასა და მსგავს სუბიექტებთან ურთიერთობას ვერ არეგულირებს ზემოთხსენებული სამოქალაქო სამართალი, რომელსაც, თავის მხრივ, მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირების ურთიერთობის რეგულირება ეკისრება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საჯარო სამართლის წარმომადგენლებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ რეგულირება ვერ ხორციელდება სამოქალაქო სამართლის ნორმებით, მათ ენიჭებათ უფლება, სრული ინტეგრირება მოახდინონ სამოქალაქო და სამართლებრივ საქმიანობაში. აღნიშნული ინტეგრირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ყოველივე არ ეწინააღმდეგება იმ ნორმებს, რომელიც მოცემული ერთეულის დაფუძნებისას არსებობდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლში ასახულია კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების განმარტება. თავად სახელმწიფო საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც სამოქალაქო და სამართლებრივ ურთიერთობებში საკუთარი კონტროლის ქვეშ არსებული დაწესებულებების მეშვეობით

[12] ნაჭყებია, გურამ. გორაშვილი, გიორგი. მამულაშვილი, გოჩა. თოდუა, ნონა. გოგშელიძე, რევაზ. სულაქველიძე, დავით და დვალიძე, ირაკლი. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. 2012, გვ. 993-999

გამოდის. სახელმწიფოს მართვისათვის არსებობს სამინისტროები, რომლებიც ემორჩილებიან მათ ზემდგომ ორგანოებს.[13]

[13] ლეკვეიშვილი, მზია, თოდუა, ნონა. მამულაშვილი, გოჩა. გვენეტაძე ნინო. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი 1). თბილისი 2011, გვ. 494-500

თავი 2. იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ზოგადი სამართლებრივი პრობლემატიკა

მსოფლიოში არსებობს სახლმწიფოების დიდი ჯგუფი, რომელთა სამოქალაქო სამართლის ნორმები, საკანონმდებლო დონეზე, არ ითვალისწინებს და არ განსაზღვრავს იურიდიული პირის განმარტებას. მოცემული ფაქტი გამომდინარეობს იქედან, რომ ამ ქვეყნების კანონმდებლობა და ამ კანონმდებლობის შემქმნელები დაინტერესებული არ არიან მხოლოდ მშრალი სიტყვიერი განსაზღვრებით. მათ ინტერესის ობიექტს წამოადგეს მოცემული იურიდიული პირების რეალური მოდგომარეობების, საქმაინობის შინაარსის შეფასება და ამავდროულად, მათი ინტეგრირების დონე სამოქალაქო და სამართლებრივ კონტექსტში.

ქართულ სამეცნიერო წრეებში ხშირად აღნიშნავენ, რომ იურიდიული პირის ცნების სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრა ხდება მოცემული სახელმწიფოს სხვადასხვა საკანანმდებლო დებულებებში განხილული შემთხვევებით. მოცემული რეალობიდან გამომდინარე, იშვიათია რომელიმე ქვეყნის კანომდებლობაში იურიდიული პირის სრუყოფილი და ამომწურავი განმარტება არსებობდეს. ძირითად შემთხვევებში, მოცემული განმატებები აღნიშნავს მხოლოდ იურიდიული პირების არსებით მდგომარეობებს. ამიტომ, ზემოთხსენებული ცნებების საერთო სურათი შედგება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ მოხდება მათი არსებითი შეჯერება.

როგორც ზემოთხსენებულ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში[14] ნათქვამია, იურდიული პირი არის სამართლებრივი სუბიექტი, რომელიც გარკვეული მიზნებისა და სურვილების შესრულების აუცილებლობითაა შექმნილი. კანონში აღნიშნულია, რომ იურიდიული პირი საკუთარი ქონებით აგებს პასუხს ნებისმიერი საქმისწარმოების შემთხვევაში. იურიდიულ პირს გააჩნია ასევე სახვა უფლება-მოვალეობებიც, რომელიც პირველ თავში დეტალურადაა ახსნილი და გამომდინარე მოცემული ნაშრომის ძირითადი მიზნებიდან, ეს უფლება-მოვალეობები გამეორებას არ საჭიროებს. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ იურიდიულ პირად არსებობას გამოარჩევს ის მდგომარეობა, რომ ადამიანებისა და ქონების ასოციაცია მოხდა გარკვეული მიზნების მისაღწევად. ერთმანეთისაგან გამოყოფენ ორ განსხვავებულ ჯგუფს, რომელთაგან ერთი განმარტავს იურიდიულ მიზანს, მეორე კი სამართლებრივ მიზანს.

როდესაც იურიდიულ პირს უწევს მესამე პირთან შეხება და აქედან გამომდინარე, ურთიერთობა, მიზნის განსაზღვრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ, როდესაც მოხდება კონკრეტული მიზნის განსაზღვრა, მოცემულ მიზანს არ უნდა ჰქონდეს ერთჯერადად გამოყენების ხასიათი, იგულისმხება ის გარემოება, რომ მიზნის განსაზღვრის შედეგად იურიდიული პირი შეძლებს გრძელვადიან

[14] ნაჭყებია, გურამ. გორაშვილი, გიორგი. მამულაშვილი, გოჩა. თოდუა, ნონა. გოგშელიძე, რევაზ. სულაქველიძე, დავით და დვალიძე, ირაკლი. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012, გვ. 990-993

პერიოდში განახორციელოს მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოქმედებები.

ზემოთ აღნიშნულია გარემოება, რომ იურიდიული პირის დამახასიათებელი ნიშნებიდან, გამორჩეულია ქონების საკუთარ მფლობელობაში არსებობა, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ეს კონკრეტული ქონება რამენაირ კავშირშია იურიდიულ პირის შემადგენლობაში შემავალი პიროვნებების ქონებასთან. პირადი და იურიდიული პირის ქონება განცალკევებულია. ფაქტი, რომ იურიდიულ პირს გააჩნია საკუთარი ქონება, აჩენს გარემოებას, რომ მისი „პირადი" პასუხისმგებლობაა ქონების განკარგვა. მოცემული ფაქტის მარტივ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი რაიმე სახის გარიგებაშია კრედიტორულ სუბიექტებთან, იგი მათ წინაშე საკუთრებაში არსებული ქონებით აგებს პასუხს. ზემოთ მოყვანილი დებულებიდან გამომდინარე, იურიდიული პირის შემადგენლობაში შემავალი ადამიანები საკუთარი ქონებით პასუხს არ აგებენ იურიდიული პირის მოქმედებებზე[15].

იურიდიული პირისათვის, ასევე, დამახასიათებელია ისიც, რომ მას უფლება აქვს შეიძინოს მოვალეობები და ასევე უფლებები. მსგავსი დამახასიათებელი ნიშან-თვისების ერთერთ მაგალითს წარმოადგეს ის ფატი რომ იგი ვალდებულია იქონიოს სახელი. მხოლოდ შესაბამის

[15] ნაჭყებია, გურამ. გორაშვილი, გიორგი. მამულაშვილი, გოჩა. თოდუა, ნონა. გოგშელიძე, რევაზ. სულაქველიძე, დავით და დვალიძე, ირაკლი. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012, გვ. 990-993

სახელმწიფო სტრუქტურაში რეგისტრაციის გავლის შემდგომ იურიდიული პირ შეიძლება წარმოჩინდეს როგორც სამოქალაქო და სამართლებრივ ურთიერთობებში ინტეგრირებული სუბიექტი. საკანონმდებლო დონეზე არსებული და მიღებული ლეგიტიმაციის გარეშე იურიდიული პირის წამოქმნა და სამოქალაქო და სამართლებრივ ურთიერთობებში სრულყოფილ სუბიექტად წარმოჩენა ვერ მოხდება[16].

სამართალმცოდნეობის დარგის მეცნიერთა დიდი ჯგუფი მიიჩნევს, რომ პირველი და ძირითადი მახასიათებელი, რომელიც იურიდიულ პირს გამოარჩევს, ეს არის ის განცალკევებული ქონება, რომელიც არის იურიდიული პირის საკუთრება და არანაირი კავშირი არ აქვს მასში შემავალი პირების კერძო ქონებასთან. გამომდინარე აქედან, დამოუკიდებელი ქონების გარეშე შეუძლებელია იურიდიული პირის არსებობა. როგორც ზემოთაა აღნიშნული, იურიდიული პირი ნებისმიერი სახის სამოქალაქო და სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ იურიდიული პირის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ამავდროულად უკავშირდება იმ გარემოებას, რომ მას უფლება აქვს იქონიოს საკუთარი სახელი.

2.1. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკის განსაზღვრა ქონებრივ ჭრილში

[16] ჭანტურია, ლადო. რამდენიმე მოსაზრება საჯარო სამართლის იურდიულ პირებზე. 2010, 209-211

სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო პასუხისმგებლობები - ეს ის ჩამონათვალია, რომელიც, მოცემული გარემოებიდან გამომდინარე, აკისრია სამოქალაქო და სამართლებრივ ურთიერთობებში სრულყოფილ სუბიექტად ინტეგრირებულ იურიდიულ პირს. ზემოთ მოხსენიებული პასუხისმგებლობების არსებობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მის საკუთრებაში უნდა არსებობდეს, მასში შემავალი პირების პირადი ქონებებისაგანა განცალკევებული, ქონება. ეს უკანასკნელი გარემოება, სამეცნიერო თვალსაზრისით, გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე თვით იურიდული პირის არსებითი ცნება.

ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომსა და თეორიაში ცხადადაა მოხსენიებული ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი, პირადისაგან განცალკევებული ქონება, საფუძველთა საფუძველია იურიდიული პირის არსებობისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს კონკრეტული ქონება საკუთრებაში არ აქვთ არც მოცემული იურიდიული პირის დამფუძნებელს (დამფუძნებლებს) და არც მასში შემავალ წევრებს. მოცემული შემთხვევა გვხვდება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირის განხილვისას.

რადიკალურად განსხვავებული გარემოებაა, როდესაც სამართლებრივი პასუხისმგებლობის განხილვის საგანი ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამ შემთხვევაში, ცხადია, რომ სახელმწიფო არის მოცემული იურიდიული პირის (სახელმწიფო ერთეულის)

დამფუძნებელი. ქონების მესაკუთრედ მოცემულ შემთხვევაშიც იურიდიული პირი გვევლინება, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ სახელმწიფოა საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების წინაპირობა. მაგალითისათვის შესაძლებელია განვიხილოთ ნებისმიერი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც, რეალურად, არის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც თვითონ სახელმწიფომ გადასცა მის საკუთრებაში არსებული ქონება და მისი განმკარგველია, მაგრამ კანონმდებლობის მიხედვით, ქონება საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაა[17].

იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხს უკავშირდება განყენებულად მის საკუთრებაში არსებული ქონების კონცეფცია. ზემოთ მოხსენებულიდან გამომდინარე, იურიდიული პირი საკრედიტო პირთან ურთიერთობაში ჩართვისას საკუთარი წევრების პირად ქონებას ხელშეუხებლად ტოვებს და მხოლოდ მის საკუთრებაში არსებული განყენებული ქონებით აგებს პასუხს. მოცემულ მიდამოებში სამართალწარმოებისას ჩნდება შესამჩნევი მოვლენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ქონებით აგებს პასუხს, ეს გარემოება არ გამორიცხავს იურიდიულ პირში შემავალი პირების პასუხისმგებლობას. საფრანგეთის რესპუბლიკაში არსებული პრაქტიკის მაგალითის განხილვისას ზოგიერთ შემთხვევაში[18], უწყება რომელიც იურიდიულ პირს წარმოდგენს საფრანგეთიც კრედიტორების

[17] ალანია შალვა, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ფარგლები 2015, გვ. 93-96
[18] მსგავსი პრაქტიკა გვხვდება საქართველოს სახელმწიფოშიც.

წინაშე პასუხისმგებელია საკუთარი ქონებით. მსგავსში შემთხვევა გვხვდება საქართველოს რეალობაშიც, რომელიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ფარგლებში.

პრობლემატიკის ძირითად ობიექტს, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს სასამართლო სისტემის მიერ დაშვებული და დამკვიდრებული გამონაკლისები. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში საკანონმდებლო დონეზეა დამტკიცებული ის გარემოება, რომ იურიდიული პირი მხოლოდ საკუთარი ქონებით არის პასუხისმგებელი კრედიტორებთან ურთიერთობისას, სასამართლო პრაქტიკა, ზოგიერთ შემთხვევაში, საკმაოდ არათანმიმდევრულია.

მოცემული გარემოების კარგ მაგალითს წარმოადგენს ნიდერლანდების სამეფოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოკიდებულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან (შპს), რომელიც წარმოადგენს იურიდიული პირის ერთ-ერთ სახეს. მოცემულ ქვეყნებში, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრულია შპს-ის პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარი ქონებით, ხშირ შემთხვევაში, მათი დამფუძნებლების პასუხისმგებლობაც დამდგარა. ასეთი ფაქტები, ძირითადად, ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულ იურიდიულ პირს მხოლოდ ერთი დამფუძნებელი ჰყავს. მსგავსი გამონაკლისები ხდება, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, გამოძიების პროცესში აშკარა ხდება, რომ მიყენებული ზიანის ძირითადი გამოგწვევი მიზეზი გახდა

დამფუძნებელი. მსგავსი პრეცენდენტებისა და გამოცდილებების გათვალისწინებით, ქართულმა საკანონმდებლო მოდელმა სრულიად შეისისხლხორცა მსგავსი გარემოების აღსაწერად საჭირო ნორმები[19].

განსხვავებული ვითარებაა იმ საწარმო სუბიექტებში, რომლებსაც განკარგავს სახელმწიფო. ამ შემთხვევაში, კრედიტორებთან ურთიერთობისას, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული სხვა ქონება შეძლება გახდეს დავის საგანი საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და კრედიტორს შორის. გამომდინარე იქედან, რომ არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც იურიდიული პირი არა მარტო მისი დამოუკიდებელი ქონებით აგებს პასუხს შესაბამის ერთეულებთან, არამედ მასში შემავალი პიროვნებების ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში, სახელმწიფოს სხვა ქონებითაც. ითვლება, რომ იურიდიული პირი ნორმატიულ-სამართლებრივი ორგანიზაციული წარმონაქმნია რომლის კანონმდებლობაც უმეტეს შემთხვევაში რაციონალურ მსჯელობას ემყარება.

თავი 3. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკის ზოგადი მიმოხილვა ქართულ რეალობაში

[19] ალანია შალვა, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ფარგლები 2015, გვ. 93-96

სამაგისტრო ნაშრომის წინამდებარე თავებში ნახსენებია საკანონმდებლო ცვლილება, რომლიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა 2006 25 ივლისს წელს განიცადა. საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, ფიზიკური პირის მსგავსად, იურიდიულ პირს მიენიჭა სისხლის სამართლის სუბიექტის სტატუსი. ცვლილებებამდე მსგავსი სტატუსით გამოირჩეოდა მხოლოდ ფიზიკური პირი. ცვლილებების შემდეგ იურიდიული პირს დაემატა ვალდებულება, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მას დაეკისროს სასჯელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოში ზემოთ ხსენებული ცვლილება მოხდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებში მგავსი პრეცენდენტები და გამოცდილება უკვე არსებობდა, ამ მოვლენას დისკუსიისა და ცხარე განხილვების გარეშე არ ჩაუვლია.

მეორე მხრივ, ბუნებრივია, მსგავსი კამათი და დისკუსიების არსებობა, რადგან საქართველოს რეალობაში მსგავსი ცვლილების პრეცენდენტი არ ყოფილა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოდელი დაფუძნებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართლებრივ მოდელზე და ამ ფაქტმა მეტი რეზონანსულობა შესძინა მოცემულ ცვლილებას. გამომდინარე იქედან, რომ გერმანიის ფედერაციულ რეპუბლიკაში არსებული სისხლის სამართლის საკანონმდებლო მოდელი იურდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს, ქართულ სსისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ეს

ცვლილება საერთო ფოკუსირების პლატფორმიდან ამოვარდნილი აღმოჩნდა.

მოცემულ პრობლემატიკაში რეზონანსულობის კიდევ ერთ ფაქტად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ ქართულ სამართლებრივ რეალობაში, ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულის განხილვისას, დაცულია ინდივიდუალურობის საკითხი. ინდივიდუალურობის ნათელ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ყოველი პიროვნება პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი ქმედებისათვის. მოცემული პრინციპის აღქმის გამარტივებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ერთი კონკრეტული პიროვნება მეორე პიროვნების მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებელი არ არის მიუხედავად იმისა, თუ რა ნათესაური ან სხვა კავშირით არიან ისინი დაკავშირებული[20]. ეს გარემოება არის ძირითადი პრობლემატიკის წარმომშობი, რადგან მისი გაანალიზებისას ცხადია, რომ იურიდიული პირი, რომელიც არის ფიქტიური წარმონაქმნი და უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნავს ადამიანთა ერთობას (დამოუკიდებელ ქონებრივ კუთვნილებასთან ერთად), შეუძლებელია გასამართლდეს ინდივიდუალურად.

ასეთი გარემოების მიუხედავად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გაკეთებული ცვლილების შემდეგ ინდივიდუალურობის მოცემულობა გარკვეულწილად შესუსტდა. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება იურიდიული პირის პასუხიმგებლობა კონკრეტულ

[20] ჭანტურია, ლადო. რამდენიმე მოსაზრება საჯარო სამართლის იურდიულ პირებზე, 2010., 212-215

დანაშაულზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე დაისჯებიან მასში შემავალი ინდივიდები. უმეტეს შემთხვევაში მსგავსი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა მოხსენიებულია როგორც კოლექტიური (ზოგიერთ შემთხვევაში ორგანიზებული დანაშაული - დეტალურადაა განხილული მომდევნო თავებში) პასუხისმგებლობა.

ზემოთ ხსენებული პრობლემატიკის წარმოქმნის საწინააღმდეგოდ გადაჭრის რამდენიმე გზა არსებობს. კვლევების განხილვისას საინტერესოა ის გარემოება, რომ მსგავსი ცვლილება უნდა განხორციელდეს გარკვეული ქვეტექსტებიდან გამომდინარე. იურისპრუდენციაში უმეტესად რაციონალურ მსჯელობის შედეგად ხდება კანონშემოქმედება და სწორედ ეს რაციონალურობის არარსებობა პრობლემას ქმნის მსგავსი ცვლილების შედეგად მიღებილი იურიდიული პირების პასუხისმგებლობის დაკისრებისას. გამომდინარე იქედან, რომ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება საკმაოდ საინტერესო საკვლევ მასალას წარმოადგენს, აუცილებლია მათი განხილვა და იმ თეორიების განხილვა რომელიც ზემოთხსენებულ იურდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკას ეხება.

3.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილები და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ასპექტში

2006 წლის 25 აგვისტოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა განიცადა ცვლილება, რომელიც იურიდიულ პირებს შეეხებოდა. ცვლილებებამდე, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად შეიძლება ჩათვლილიყო მხოლოდ ფიზიკური პირი. ცვლილების შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა იურიდიული პირი განსაზღვრა როგორც სამართლის სუბიექტი და აქედან გამომდინარე, ჩადენილი დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მასზე შესაძლებელი გახდა სასჯელის გავრცელება[21].

მოცემული ცვლილების ვალიდურობა და სამეცნიერო ანალიზი ხშირად გამხდარა და დღესდღეობითაც ხდება დისკუსიისა და განხილვის საგანი. მსგავსი დისკუსიები მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებში მეოცე საუკუნიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. დისკუსიისა და პრობლემატიკის ძირითად საგანს წარმოადგეს ის ფაქტი, რომ ფიზიკური პირზე, იმ შემთხევაში, როდესაც იგი დანაშულს ჩადის, მოქმედებს სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური გამეორებები[22]. სუბიექტური გარემოების მაგალითად, შეიძლება ჩაითვალოს მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც იმ დროისათვის მის საქციელს ახდენს გავლენას. იურიდიული პირის შემთხვევაში დანაშაულის ჩადენისას, რა თქმა უნდა,

[21] ალანია შალვა, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ფარგლები 2015, გვ. 93-96

[22] ლეკვეიშვილი, მზია, თოდუა, ნონა. მამულაშვილი, გოჩა. გვენეტაძე ნინო. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი 1), თბილისი 2011. 495-499

არსებობს ობიექტური რეალობა, რომ მან დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ არ არსებობს დანაშაულის სუბიექტური მხარის შეფასების საშუალება. მსგავსი არაცალსახა და არაერთგვაროვანი იდეების მიუხედავად, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ აღიარა იურიდიული პირი როგორც სამართლის განყენებული სუბიექტი და დააკანონა ის გარემოება, რომ იურიდიული პირი შეიძლება იყოს დამნაშავე და შესაბამისი კანონმდებლობით მოხდეს მისი დასჯა.

თავი 4. საერთაშორისო გამოცდილება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით

მსოფლიოს სხვადსხვა ქვეყნებში არსებულ სამრთებლივ სისტემებში პირველ პრეცენდენტს, რომელიც ეხებოდა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის განსაზღვრას სისხლის სამართალში, ადგილი ჰქონდა

კანდასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1842 წელს ინგლისში სახელმწიფომ დააჯარიმა კორპორაცია, რომელიც მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა. დაჯარიმება მოხდა სახელმწიფოს მიერ გამოცემული აქტის მეშვეობით. ეს შემთხვევა ინგლისის საკანონმდებლო რეალობაში საფუძველი გახდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტთან დაკავშირებით. მოცემული მაგალითი ცხადყოფდა საჭიროებას, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენებისათვის აუცილებელი ხდებოდა საკანონმდებლო დონეზე განხორციელებელულიყო შესაბამისი ცვლილებები. ცვლილებების შედეგად უნდა დახვეწილიყო სახელწმიფოს მიდგომა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც დანაშაულს ჩადიოდნენ იურიდიულ პირში გაერთიანებისას[23].

ძირითადი პრობლემა, რომელიც ზემოთხსენებული ცვლილებებისათვის წარმოადგენდა დაბრკოლებას, იყო ის ვითარება, რომ იურიდიული პირი შექმნისას დოკუმენტალურად ასახავს მის საქმიანობას და მისი ფიქციური ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო სასამართლოში მას პასუხი პერსონალურად ეგო. რაღა თქმა უნდა, თუ არსებობს დანაშაული, რომელიც დადგენილია გამოძიების შედეგად, შესაბამის საკანონმდებლო ნორმებით უნდა მოხდეს დამნაშავის დასჯა,

[23] ნაჭყებია, გურამ. გორაშვილი, გიორგი. მამულაშვილი, გოჩა. თოდუა, ნონა. გოგშელიძე, რევაზ. სულაქველიძე, დავით და დვალიძე, ირაკლი. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012, გვ. 990-999

მაგრამ ასეთი ნორმების არარსებობა, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა იურიდიული პირის დასჯის საკითხს.

მსგავსი აუცილებლობებიდან გამომდინარე, ბევრი მეცნიერი, რომელიც მოღვაწეობდა სამართლებრივ დარგში, შეეცადა შეექმნა შესაბამისი თეორიები, რომელიც იურიდიულ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკას ნათელს მოჰფენდა და მისი გადაჭრის გზებს მონახავდა.

სამართალმცოდნეობაში არსებული ერთ-ერთი თეორია, რომელსაც არაპირდაპირი პასუხისმგებლობის თეორიის სახელით იცნობენ, აღწერს იმ მდგომარეობას, როდესაც კერძო სამართლის იურიდიულ პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მსგავსი პასუხისმგებლობის დადგომა შედეგია იმ გარემოებისა, როდესაც იურიდიულ პირში შემავალი პიროვნება (თანამშრომელი) ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს. მსგავსი თეორია სათავეს იღებს შუა საუკუნეების დასაწყისიდან ინგლისის სამართალში[24]. მოცემული თეორიის შექმნის აუცილებლობას ასახავს ის გარემოება, რომ, თუ იურიდიულ პირში შემავალი ადამიანი მესამე პირს დაზიანებას მიაყენებს, მოცემული დაზიანების ანაზღაურება ხდება იურიდიული პირის მიერ. მსგავსი პრინციპით გასამართლებული იურიდიული პირების პრეცენდენტებმა მოაღწია თანამედროვე სისხლის სამართალშიც,

[24] პრადელი ჟან, შედარებითი სისხლის სამართალი. მოკლე კურსი, რედაქ. თ. ნინიძე, თბ. 1999 წ, გვ. 231

თუმცა მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თანამშრომლის დანაშაულებისთვის პასუხს აგებს იურიდიული პირი, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, მისი დამსაქმებელი კორპორაცია, არსებობს პრობლემატიკა მსგავსი პასუხისმგებლობის დადგენისას.

ზემოთხსენებული პრობლემატიკის განხილვისას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება იმ საკითხს, რომ მსგავსი პასუხისმგებლობა შეიძლება დაკისრებულ იქნას მხოლოდ საპარლამენტო დონეზე დადგენილი დანაშაულების ჩადენისას. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საპარლამენტო დონეზე დადგენილი დანაშაულების აბსოლუტური უმრავლესობა გამორიცხავს ტრადიციულ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებშიც მონაწილეობს სუბიექტური გარემოებები. ამ გარემოებების მაგალითს წარმოადგენს დამნაშავის ფსიქოლოგიური და მენტალური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენისას. მსგავსი სუბიექტური გამორიცხვის შედეგად რჩება მხოლოდ ის ობიექტური გარემოებები, რომლებიც ადასტურებს ჩადენილ დანაშაულებს. მოცემული ვითარება ართულებს ისეთ დანაშაულებზე იურიდიული პირების სისხლის სამართლის პასუხისგებას, რომელშიც სუბიექტური მხარეებია ჩართული.

მსგავს თეორიაზე დაფუძნებული სახელმწიფო სამართლის სისტემები მხოლოდ მოიცავს იურიდული პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მაშინ, როდესაც დანაშაულში არსებობს მხოლოდ ობიექტური გარემოებები. პრობლემად რჩება დანაშაულების სისხლის

სამართლებრივი კლასიფიკაცია, რომელშიც ობიექტურ გარემოებებთან ერთად ჩართულია სუბიექტური მნიშვნელობის მქონე გარემოებებიც.

წინამდებარე პარაგრაფში მოხსენიებული სისხლისსამართლებრივი პრობლემატიკის გადაჭრის ერთ-ერთ გზად მიიჩნევა თეორია, რომელსაც იდენტიფიკაციის სახელით ვიცნობთ[25]. მსგავს თეორიაზე დამყარებული საკანონმდებლო სისტემები იურიდულ პირებს სისხლისსამართლებრივ პასუხიმგებლობას აკისრებენ არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც მათი თანამშრომლები ჩაიდენენ საპარლამენტო დონეზე დადგენილ დანაშაულებს, არამედ მაშინაც, როდესაც თანამშრომლის მიერ ჩადენილი დანაშაული მოიცავს სუბიექტურ გარემოებებსაც.

მოცემული თეორია განსაკუთრებით აქტუალური გახდა მაშინ, როდესაც გაიზარდა იმ დანაშაულების რიცხვი, რომელშიც ძირითადი დანაშაულებრივი აქტი თაღლითობა იყო. კერძო სამართლის იურიდიული პირების, მაგალითად კორპორაციების მიერ ჩადენილი თაღლითური დანაშაულებებისათვის, აუცილებელი გახდა მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენება.

მსგავს თეორიაზე დაფუძნებული სამართლებრივი სისტემების პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იურიდიული პირის შემადგენლობაში არსებული თანამშრომელი, დანაშაულის ჩადენისას ხელმძღვანელობს თუ არა იურიდიული პირის ინტერესებიდან

[25] ტურავა მერაბ, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება, თბილისი 2011, გვ. 635

გამომდინარე, რთული დასადგენია. მოცემული პრობლემატიკას კრიმინოლოგები ხშირად ხედავენ იმ გარემოებას, როდესაც იურიდული პირის ინტერესებიდან გამომდინარე, თანამშრომლებზე მოძალებული ხედვები ხშირად აჭარბებს ადამიანში არსებულ შემაკავებელ მექანიზმებს დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგ[26].

მეტი კონკრეტიკისათვის აუცილებელია ვახსენოთ 1915 წელი, რომელიც მიჩნეულია თეორიის წარმოშობის სათავედ. მაშინდელ ინგლისში არსებული პრეცედენტული საქმიდან გამომდინარე, რომელშიც დადგინდა, რომ იურიდიული პირის მმართველი პირის მიერ ჩადენილი დანაშაული მიიჩნიეს კორპორაციის მიერ ჩადენილ დანაშაულად.

იდენტიფიკაციის თეორიის მიხედვით, იურიდიული პირში შემავალი თანამშრომლების დაყოფა მოხდა ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიოდა მოცემული იურიდიული პირის მმართველები, ხოლო მეორე ჯგუფში შედიოდა მოცემული პირის მიერ დაქირავებული ადამიანები. მოცემულ შემთხვევაში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პრობლემატიკა იკვეთება. ეს პრობლემატიკა მდგომარეობს იმაში, რომ, უმეტეს შემთხვევაში, პასუხისმგებლობის დადგენისას იურიდიული პირის მმართველი ჯგუფი შეძლებს თვიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, რადგან შესაძლებელია მან განაცხადოს, რომ მოცემული დანაშაულის ჩადენისას იგი არ იყო საქმის კურსში და არ იცოდა რა ხდებოდა. ეს პრობლემა ძირითადად დაბრკოლებას ქმნის იურიდულ პირში შემავალ

[26] ალანია შალვა, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ფარგლები 2015, გვ. 95-99

ჯგუფებს შორის დამნაშავის იდენტიფიკაციისა და გამომდინარე აქედან ამცირებს დანაშაულების გამოძიების ეფექტურობას.[27]

ავსტრალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გაჩნდა მოსაზრებები თეორიის შესახებ, რომელსაც კორპორაციის კულტურის სახელით ვიცნობთ. აღნიშნულმა თეორიამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავს იურიდიულ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, თუ დადგინდა, რომ მასში არსებულმა შიდა სტრუქტურამ და წესებმა რამენაირად ხელი შეუწყო ან წაახალისა იურიდული პირის თანამშრომელი დანაშულის ჩადენისას. მოცემულ შემთხვევაში დამდგარი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკის ძირითად ბირთვს წარმოადგენს პრობლემა, რომელიც წარმოიშოება იმ ფაქტის გამოძიებისას, წაახალისა თუ არა იურიდიული პირის შიგნით არსებულმა მდგომარეობამ მისი თანამშრომელი დანაშაულის ჩადენისას. მოცემულ შემთხვევაში გამოძიების საგანს წარმოადგენს უფრო ფართო გაგების რეალობა და დანაშაულის ობიექტურ-სუბიექტური მხარეები, ვიდრე პირველ ორ შემთხვევაში.

იურიდიულ პირში არსებული მმართველობის სტრუქტურა, რომელიც განაპირობებს საქმიანობის განვითარებას, არის დამატებითი მიმართულება, რომლითაც შეიძლება დადგეს იურიდიული პირის

[27] NAGY, Z. A. SOME PROBLEMS OF THE CRIMINAL LIABILITY OF LEGAL ENTITY IN CRIMINAL DOGMATICS. 2008, გვ. 3-6

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. პირველ ორ შემთხვევაში გამოძიების საგანს იურიდიული პირის შიდა სტრუქტურა დანაშაულის მაპროვოცირებლად არ მიიჩნევა და გამოძიება მხოლოდ შემოიფარგლება დამნაშავე ინდივიდის შესწავლით და ამის შემდეგ დაყენებული პასუხისმგებლობით. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ იურდიული პირი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რაიმე კომპანია, რომელსაც აქვს მაღალი ხარისხის რეპუტაცია, შეიძლება გამოძიების საგანი გახდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი თანამშრომელი, არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს მმართველთა ჯგუფიდან თუ დაქირავებულთა ჯგუფიდან, ჩაიდენს დანაშაულს.

ავსტრალიაში არსებული სისხლის სამართლის მთავარ დოკუმენტში ცალსახადაა აღწერილი ის გარემოება, რომ, თუ იურიდიულ პირში შემავალი ინდივიდის მიერ ჩადენილ დანაშაულში არ დგინდება იურიდიულ პირში არსებული გარემოს ზემოქმედება, გამომდინარე აქედან, არ არსებობს დანაშაულებრივი კორელაცია იურიდიულ პირსაა და დამნაშავეს შორის. სამართლის ეს მოდელი მრავალი სახელმწიფოს საკანონმდებლო საფუძველია და ადგენს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სიზუსტეს.

4.1 იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა

საერთაშორისო სამართლისა და მათ შორის, ქართული სამართლის სისტემებში, ხშირია მოსაზრება, რომელიც ამკვიდრებს პრინციპს იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ სამოქალაქო სამართლის პრეროგატივაა იურიდიული პირის პასუხიმგებლობის განხილვა. ასეთი მოსაზრებების არსებობის გამო, ხშირად, საკმაოდ რთულია იმ პრობლემასთან გამკლავება, რომელიც დგება იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიული პირის პასუხიმგებლობას განსაზღვრავს სისხლის სამართალი. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში არის საბჭოთა კავშირის დროინდელი მემკვიდრეობის ნიშნები, აუცილებელია შესწავლილ იქნას, რა მდგომარეობაა ამ მხრივ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში.

საბჭოთა კავშირში[28] არსებობდა საკანონმდებლო გარემოება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ფიზიკური პირის მიერ ჩადენილი დანაშაული შეიძლებოდა ყოფილიყო სისხლის სამართლის მიხედვით განსახილველი საქმე. გამომდინარე აქედან, პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის უკრაინის რესპუბლიკაში, მეზობელ სომხეთის რესპუბლიკაში, რუსეთის ფედერაციაში, საქართველოში და კიდევ ბევრგან, მსგავსი ნორმები შენარჩუნდა და იურიდიული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არ დგებოდა მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

[28] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) — სოციალისტურ-ცენტრალიზებულად მართული მრავალეროვანი სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში, ჩრდილო და შუა აზიაში.

ქართული სამართლის რეალობაში ცვლილება მოხდა, როდესაც საკანონმდებლო დონეზე შეიცვალა დამოკიდებულება იურიდული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიმართ. განზრახ ჩადენილი დანაშაულებისათვის სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება და კოდექსმა დააწესა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. გამომდინარე იქედან, რომ ცვლილება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსმა განიცადა, ზოგიერთ შეთხვევაში პრობლემატური იყო, დღემდე ხშირია კამათი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება გამოსწორდეს იურიდული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯადობასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამართლის დარგში მოღვაწე მეცნიერები მაღალი სირთულის დონით აფასებენ საკითხს, რომელიც ზემოთხსენებულ პრობლემატიკასთან ასოცირდება.[29]

პრობლემატიკის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად გვევლინება ის ფაქტი, რომ სამართლის ლიტერატურაში, ზოგიერთ შემთხვევაში, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთოდ უარყოფენ და ზოგიერთ შემთხვევაში, სრულ მხარდაჭერას უცხადებენ. ეს ორი განსახვავებული პოლუსი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებებით, კიდევ უფრო ართულებს საბოლოო სწორი დასკვნის გამოტანის მცდელობას. მრავალი სამეცნიერო სტატია და ნაშრომია მიძღვნილი მოცემულ თემასთან დაკავშირებით.

[29] ჭანტურია, ლადო. რამდენიმე მოსაზრება საჯარო სამართლის იურდიულ პირებზე. 2010, გვ. 215-217

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენისას, ფაქტობრივი შეცდომა გამორიცხავს განზრახი დანაშულის ქმედების შემადგენლობას და პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ გაუფრთხილებლებისათვის. მგავსი ვითარება, ზოგიერთ შემთხვევაში, საკმაოდ პრობლემატურია, რადგან, თუ იყო შესაძლებლობა, რომ შეცდომა თავიდან აეცილებინათ და შესაბამისმა პიროვნებებმა ეს არ გააკეთეს, ამ შემთხვევაში დგება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედებისათვის.[30]

ორგანიზებული დანაშაული არის ერთ-ერთი ძირითადი დანაშაულებრივი მიმართულება, რომელშიც მონაწილე იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება. ცნება ორგანიზებული დანაშული საკმაოდ ფართო გაგებისაა და გამომდინარე აქედან, მისი კონკრეტული განასაზღვრა აუცილებელია. ორგანიზებული დანაშული შეიძლება მოიცავდეს როგორც სახელმწიფოს შიგნით ლოკალურ დონეზე მიმდინარე დანაშაულს, ასევე სხვადასხვა ქვეყნებს შორის არსებული დანაშაულებრივი ერთეულების კავშირს.

სამართლის დარგში მოღვაწე მეცნიერების ძირითადი ნაწილი, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარშემო არსებული პრობლემატიკის სათავედ აღიარებს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში ცალსახად არ არის

[30] ტურავა მერაბ, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 632-633.

განსაზღვრული, იურდიული პირი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს წარმოადგენს თუ სამართლის სუბიექტს.

4.2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის პრობლემატიკა ევროკავშირის სახელმწიფოებში

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სამშობლოდ აღიარებულია საერთო სამართლის ქვეყნები (დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია და ა.შ.). მათგან განსხვავებით, იურიდიული პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ევროპის ქვეყნებში გასული საუკუნის ბოლომდე, საკანონმდებლო დონეზე არ არსებობდა. დღეისათვის, ევროპულ სისხლის სამართალში, აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს სადისკუსიო საკითხს და ამასთან დაკავშირებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არ არსებობს ერთიანი მიდგომა.[31]

მძაფრი წინააღმდეგობა შეხვდა მოცემული პრინციპის დაწესებას საფრანგეთის რეპუბლიკაში, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლები შეეცადნენ მაქსიმალური სიზუსტით ჩარჩოებში მოექციათ მისი გავრცელების არეალი. საფრანგეთის რეალობაში საინტერესო დეტალია ის

[31] ჯიშკარიანი ბაჩანა, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში. მე-2 გამოცემა, თბილისი 2018 წ., გვ. 126-127.

მოცემულობა, რომ მსგავსი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ვრცელდება მთავარ იურიდიულ პირზე ანუ თავად სახელმწიფოზე[32].

ევროკავშირის ტერიტორიაზე ყველაზე მძლავრი კრიტიკის ტალღა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღებას საკანონმდებლო დონეზე, მოჰყვა გერმანიის ფედერაციულ რეპუბლიკაში. ძირითადი არგუმენტები, რომლებიც მოცემული ქვეყნის შემთხვევაში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღებისაკენ იხრებოდა, იყო გარემოს დამცველთა არგუმენტები. გარემოს დამცველთა აზრით, აუცილებლი იყო შესაბამისად დასჯილიყო იურიდიული პირი რომელიც გარემოს დაბინძურებისას ჩაიდენდა შესაბამის დანაშაულს. ასევე სახეზე იყო არგუმენტები ეკონომიკური დანაშაულით დაინტერესებული სექტორისაგან, რომლებიც ცვლილებას მხარს უჭერდნენ.

საწინაღმდეგო მხარის არგუმენტები მოცემული პრობლემატიკის შესახებ, ძირითადად, იმ სამართლებრივი ლოგიკიდან გამომდინარეობდა, რომ იურიდიული პირი, სამეცნიერო განმარტების თანხმად, არის ფიქტიური, აბსტრაქტული პირი, რომელიც შეუძლებელია გახდეს სისხლის სამართლის სუბიექტი. გერმანულ სამართლის მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, იურიდიული პირი არ შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივი თვალსაზრისით

[32] პრადელი ჟან, შედარებითი სისხლის სამართალი. მოკლე კურსი, რედაქ. თ. ნინიძე, თბ. 1999 წ, გვ. 232

ქმედუნარიან პირად და, ამის შესაბამისად, შესაძლებელი ვერ იქნება მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება[33].

ასევე, ერთ-ერთ ძირითად არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ ასეთი დასჯადობა არ შეიძლება იყოს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის შესაბამისი, რომელსაც გერმანიაში კონსტიტუციური რანგი გააჩნია. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ასევე განხილულია იურიდიული პირის ქონების კონფისკაციის საკითხები, რომელიც ზოგიერთი სამეცნიერო სტატიის მიხედვით, ზოგჯერ ბუნდოვანია.

მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, დღეის მდგომარეობით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი და ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარრვევათა კოდექსის რამდენიმე მუხლი აყალიბებს კორპორაციათა და მათი წარმომადგენლების პასუხისმგებლობის ჩარჩოებს[34].

ევროკავშირის წევრ ბევრ სახელმწიფოში, მაგალითად, პოლონეთში, დანიაში, პორტუგალიაში, ნიდერლანდებში და სხვა, უპირატესობა მიენიჭა წმინდა პრაგმატულ შეხედულებებს და სხვადასხვა პერიოდში, საკანონმდებლო დონეზე აღიარებულ იქნა იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობა.[35]

---

[33] ტურავა მერაბ, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 619-620.

[34] ტურავა მერაბ, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 620

[35] პრადელი ჟან, შედარებითი სისხლის სამართალი. მოკლე კურსი, რედაქ. თ. ნინიძე, თბ. 1999 წ, გვ. 231-232

დასახელებული ქვეყნებისგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრი ზოგიერთი სახელმწიფო, მაგალითად საბერძნეთი, ავსტრია, ესპანეთი და სხვა, თავის კანონმდებლობაში არ ითვალისწინებს იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივად დასჯის შესაძლებლობას და უპირატესობას ანიჭებენ მხოლოდ სამოქალაქო ან ადმინისტრაციული ხასიათის სანქციებს.[36]

4.3. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის პრობლემატიკა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე

წინამდებარე თავებში წარმოდგენილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დამკვიდრებული სისხლის სამართლის ფუძემდებლური ნორმები, რომლებიც, თავსი მხრივ, იურიდიული პირების პასუხისმგებლობის დაყენებისას წამოჭრილ პრობლემატიკასა და მათ გადაჭრის გზებზე ამახვილებს ყურადღებას. აღნიშნულია, რომ გაერთიანებული სამეფოს სამართლებრივ სისტემაში იურიდიული პირს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრას თეორიული ნორმები, რომლებშიც ხაზგასმულია დანაშაულის ჩამდენის სუბიექტური მახასიათებლები და პრობლემის სათავე, უმეტესწილად, სწორედ ეს გარემოებაა.

[36] ჯიშკარიანი ბაჩანა, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში. მე-2 გამოცემა, თბილისი 2018 წ., გვ. 127.

განსხვავებული ვითარებაა ამ მხრივ ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე, კერძოდ კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სწორედ დიდი ბრიტანეთის სამართლის გავლენით გავრცელდა კორპორაციათა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[37] ეს ქვეყანა გამორჩეულად მკაცრი მიდგომის მომხრეა გამომდინარე იქედან, რომ გაერთიანებულ სამეფოში არსებული სამართლის ნორმებისაგან განსხვავებით შტატებში მოქმედებს პრინციპი, რომ, თუ იურიდიულ პირში დაქირავებული რიგითი თანამშრომელიც კი ჩაიდეს სისხლის სამართლის დანაშაულს, პასუხისმგებლობა იურიდიულ პირსაც ეკისრება.

სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც აშშ-ში მოქმედებს, მეორე მუხლში ცალსახადაა გამოკვეთილი ის გარემოება, რომ, თუ იურიდიული პირის თანამშრომლის მიერ ჩადენილ იქნა დანაშაულებრივი ქმედება, თუ ამავდროულად არ არსებობს სხვა დამატებითი გარემოება, რომელიც კანონში პირდაპირ მითითებულია, მაშინ პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

მსგავსი მიდგომა ქმნის სამართლებრივ პრობლემატიკას, რომელიც ხშირად კამათის საგანს წარმოადგენს, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერია კერძო სექტორი და აქედან გამომდინარე, დიდია კერძო სამართლის იურიდიული პირების რაოდენობა. მოცემულ შემთხვევაში, საკანონმდებლო ჩარჩოებიდან თუ ვიმსჯელებთ, ძირითად პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ შესაძლებელია მსგავსი

[37] გაბისონია ირაკლი, იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკვანძო საკითხები, ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, 2/2007 წ., გვ. 12-13.

აბსოლუტური პასუხისმგებლობის ნორმების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მხოლოდ იურიდიულ პირს დაეკისროს. გამონაკლისს წარმადგენს ის გარემოება, როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ერთდროულად ეკისრება როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირსაც[38].

მსგავსი მიდგომების უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგეს ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამოძიებით დადგინდება, რომ იურიდიული პირის შესაბამისმა თანამშრომელმა, ზედამხედველმა ან სხვა ზემდგომმა პირმა, რომელსაც კონტროლის მექანიზმი ჰქონდა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, მისი კომპეტენციის ფარგლებში წარუმატებლად სცადა დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება, მაინც დგება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. არ არის აუცილებელი ადამიანს სამართალმცოდნეობაში დიდი გამოცდილება ჰქონდეს, რომ ლოგიკური მსჯელობით მიხვდეს მსგავსი მიდგომების ანომალიურობას. ეს პრობლემატური მიდგომები ამერიკული სამართლის რეალობისთვის დღემდე ცხარე კამათისა და დისკუსიის საგანია.

სამართლებრივ დონეზე მსჯელობისას ცხადი ხდება, რომ მოცემული მიდგომა, ზოგიერთ შემთხვევაში, აზრს მოკლებულია. გამომდინარე იქედან, რომ რეალურად დამტკიცებული ბარლის არარსებობის

[38] ლეკვეიშვილი, მზია, თოდუა, ნონა. მამულაშვილი, გოჩა. გვენეტაძე ნინო. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი 1), თბილისი 2011. 495-499

შემთხვევაში დამდგარი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის ფუნდამენტალურ პრინციპებს ეწინააღმდეგება, რომელიც ამერიკული კონსტიტუციის მეთოთხმეტე და მეხუთე შესწორებების შედეგად შესული პრინციპებითაა დაცული.

ზემოთმოყვანილი პრობლემატიკის მქონე საკანონმდებლო რეალობის დამცველად რჩება ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო, რადგან მათი განცხადებით, მსგავსი კანონი არ ეწინააღმდეგება ზოგად სამართლებრივ პრინციპებსა და საკანონმდებლო ნორმებს. ამ მოსაზრების ვალიდურობის განსამტკიცებლად მოჰყავთ არგუმენტები, რომ მსგავსი საკანონმდებლო ნორმები სისხლის სამართალში უადვილებს ბრალმდებელს საქმეს იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა მისი უდანაშაულობა დაამტკიცა[39].

ამერიკის შეერთებულის შტატების სისხლის სამართლის კოდექსის[40] ზოგად ნაწილში მოცემული აბსოლუტური პასუხიმგებლობის პრინციპის ფარგლებში იურიდიული პირის პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაშიც, თუ მის დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანი დანაშაულს ჩაიდენს იურიდიული პირის ინტერსებიდან გამოიმდინარე. მსგავსი ტიპის კანონმდებლობა ავსტრალიის სისხლის სამართლის კოდექსისთვის უცხო არ არის.

---

[39] ლეკვეიშვილი, მზია, თოდუა, ნონა. მამულაშვილი, გოჩა. გვენეტაძე ნინო. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი 1), თბილისი 2011. 495-499

[40] Campbell, Dennis. LEGAL ASPECTS OF JOINT VENTURES IN EASTERN EUROPE. 1981, გვ. 40-44

დასკვნა

საქართველო აქტიურად ადგას გზას, რომელიც მას საბოლოოდ დააბრუნებს მის ისტორიულ და კულტურულ ოჯახში, ევროპაში. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ევროკავშირში შესვლის პროცესში გვჭირდება ცვლილებები ყველა დონეზე და ჩვენ ვცდილობთ სამართლებრივი სივრცე გახდეს უფრო სრულყოფილი და დააკმაყოფილოს ევროპული სტანდარტები. ცვლილებების შედეგად ჩვენი სამართლებრივი სისტემა გახდება უფრო მოქნილი.

სამაგისტრო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ წარმოშობილ პრობლემებსა და საერთაშორისო გამოცდილებას,

რომელიც ამ პრობლემატიკის გადაჭრისკენაა მიმართული. ყურადღება ასევე გამახვილდა კერძო სამართლის იურიდიული პირების მაგალითად კორპორატიული პასუხისმგებლობის იურიდიულ სტანდარტიზაციას საქართველოსა და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მიმდინარე რეალობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონი იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში 2006 წელს წარმატებით დამტკიცდა, ის დახვეწას საჭიროებს. ევროგაერთიანების რეალობაში იურიდიული პირები სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას წარმოქმნილ, სუბიექტურ და კუმულაციურ პასუხისმგებლობას ატარებენ მოდელის შესაბამისად, იმ პირობით, რომ იურიდიული პირი დაისჯება პასუხისმგებლობის შემსრულებელი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის და იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული ან ფაქტობრივი დაბრკოლებები არ იქნება პასუხისმგებლობის დადგენის შემთხვევაში. ნაშრომში მოყვანილი სამეცნიერო-ანალიტიკური კვლევები და თეორიები ეხმარება ჩვენს სახელმწიფოს მსგავსი ცვლილებების განხორციელების ვალიდურობის დამტკიცებაში.

საკანომდებლო დონეზე იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დახვეწას საჭიროებს. აუცილებელია დადგინდეს ზუსტი სამართლებრივი საფუძვლები, ასევე სავალდებულოა ერთმანეთისაგან განცალკევდეს სადამსჯელო ნორმები, რომლებიც სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კოდექსებში იურიდიული პირების პასუხისმგებლობას ეხება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალანია, შალვა. იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ფარგლები. თბილისი 2015. მოძიებულია ივნისი 20, 2020, წყარო http://www.gruni.edu.ge/uploads/files/akademiuri_macne/Law_2015.pdf
2. გაბისონია ირაკლი, იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკვანძო საკითხები, ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, 2/2007 წ., გვ. 12-13.
3. იურიდიული პირი. (n.d.). *განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი.* მოძიებულია ივნისი 1, 2020, წყარო http://gil.mylaw.ge/ka/term/867.html
4. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. (2011). მოძიებულია ივნისი 20, 2020, წყარო https://fezgeo.wordpress.com/2011/05/22/%E1%83%98%E1%83%A3%E1

%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1/

5. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. (n.d.). მოძიებულია ივნისი 5, 2020, წყარო https://www.myadvokat.ge/ka/about/627/iuridiuli-piris-sisxlissamartlebrivi-pasuxismgebloba
6. ლეკვეიშვილი, მზია, თოდუა, ნონა. მამულაშვილი, გოჩა. გვენეტაძე ნინო. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი 1). თბილისი 2011 მოძიებულია ივნისი 16, 2020, წყარო https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/239906265-e183a1e18398e183a1e183aee1839ae18398e183a1-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e1839ae18398e183a1-e18399e18394e183a0e183ab.pdf?fbclid=IwAR1VfZ2e_Mk321dygrn8KwwpeaF1fA2488-fiki-k3tw1eybJf1uReh2c5c.
7. ნაჭყებია, გურამ. გორაშვილი, გიორგი. მამულაშვილი, გოჩა. თოდუა, ნონა. გოგშელიძე, რევაზ. სულაქველიძე, დავით და დვალიძე, ირაკლი. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012 მოძიებულია ივნისი 16, 2020, წყარო; https://www.tsu.ge/data/file_db/library/organizebuli%20danashauli.pdf

8. ოხანაშვილი ანრი, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი „სამართლის ჟურნალი“, 2/2009 წ., გვ. 183-194
9. პრადელი ჟან, შედარებითი სისხლის სამართალი. მოკლე კურსი, რედაქ. თ. ნინიძე, თბ. 1999 წ.
10. ტურავა მერაბ, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულისმოძღვრება, თბილისი 2011 წ.
11. ჯიშკარიანი ბაჩანა, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში. მე-2 გამოცემა, თბილისი 2018 წ.
12. ჭანტურია, ლადო. რამდენიმე მოსაზრება საჯარო სამართლის იურდიულ პირებზე. 2010. მოძიებულია ივნისი 20, 2020, წყარო https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sam%20problemebi.pdf
13. Elvia Arcelia Quintana Adriano. NATURAL PERSON, JURIDICAL PERSON AND LEGAL PERSONHOOD. 2015. მოძიებულია ივნისი 15, 2020.
14. Campbell, Dennis. LEGAL ASPECTS OF JOINT VENTURES IN EASTERN EUROPE. 1981. მოძიებულია ივნისი 16, 2020, წყარო https://books.google.ge/books?id=E_uPBAAAQBAJ&pg=PA99&dq=juridical+person&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwigqZvSipvqAhUEsKQKHbusB80Q6AEwA3oECAIQAg#v=onepage&q=juridical%20person&f=false
15. Chapter 8: Criminal Liability Of Legal Person. (n.d.). მოძიებულია ივნისი 19, 2020, წყარო https://www.usip.org/sites/default/files/MC1/MC1-Part1Section8.pdf
16. Criminal Liability of Companies. 2012. მოძიებული ივნისი 19, 2020, წყაროhttp://www.lexmundi.com/lexmundi/Global_Practice_Guides.asp

17. A Global Practice Guide prepared by the Lex Mundi Business Crimes and Compliance Practice Group
18. Juridical person. (2020, ივნისი 05). მოძიებულია ივნისი 24, 2020, წყარო https://en.wikipedia.org/wiki/Juridical_person
19. Legal person. (2020, June 18). მოძიებულია ივნისი 24, 2020, წყარო https://en.wikipedia.org/wiki/Legal_person
20. LIABILITY OF THE LEGAL PERSON (ENTITY). (2011). მოძიებულია ივნისი, 2020, წყარო https://rm.coe.int/16806eebf2
21. CoE/EU Eastern Partnership Programmatic Co-operation Framework (PCF) Strengthening capacities to fight and prevent corruption in Azerbaijan
22. Miljkovic, S. D., & Bozic, V. CRIMINAL RESPONSIBILITY OF LEGAL PERSONS IN THE LEGISLATION REPUBLIC OF SERBIA AND THE REPUBLIC OF CROATIA. 2016. მოძიებულია ივნისი, 2020, წყარო https://bib.irb.hr/datoteka/854562.Criminal-responsibility-of-legal-person.pdf
23. NAGY, Z. A. SOME PROBLEMS OF THE CRIMINAL LIABILITY OF LEGAL ENTITY IN CRIMINAL DOGMATICS. 2008. მოძიებულია ივნისი 15, 2020, წყარო https://www.law.muni.cz/sborniky/dp08/files/pdf/trest/nagy.pdf University of Pecs, Hungary
24. Personal jurisdiction. (2020, February 07). მოძიებულია ივნისი 24, 2020, წყარო https://en.wikipedia.org/wiki/Personal_jurisdiction
25. Personal jurisdiction. (2020, February 07). მოძიებულია ივნისი 24, 2020, წყარო https://en.wikipedia.org/wiki/Personal_jurisdiction

26. Rragami, J. JURIDICAL PERSON AS SUBJECT OF CRIMINAL RESPONSIBILITY IN ALBANIA. 2016. მოძიებულია ივნისი 20, 2020, წყარო http://www.eajournals.org/wp-content/uploads/Juridical-Person-as-Subject-of-Criminal-Responsibility-in-Albania.pdf